კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2024 წელი

მედიცინის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცია

0916.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

5. ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

6. დეტალური სფერო

ფარმაცია

7. სწავლის სფერო

ფარმაცია

8. პროგრამის მოცულობაკრედიტებით

240 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფარმაციის ბაკალავრი

Bachelor of Pharmacy

13.პროგრამის ხელმძღვანელი

გიორგი ჩუბინიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა დამეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს **38 კვირას;**
- I სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**
- II სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-15კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვადა ა.შ.

ბ) **მე-16 – მე–18 კვირა**დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე–19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებისა და ფარმაცევტული ბაზრის მზარდი გაფართოების ფონზე, განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილება კვლიფიცირებულ სპეციალისტებზე.

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის მიზანი არა სხვა უნივერსიტეტების გამოცდილების კოპირებაა, არამედ სწავლებისადმი კონცეპტუალურად განახლებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დისციპლინებთან ერთად ახალი, თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ელემენტების ჩართვას, რაც განაპირობებს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და აკმაყოფილებსშრომის ბაზრის მოთხოვნებს კვალიფიციურ ფარმაცევტებზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ფარმაცევტის მომზადება, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს ფარმაციის როლი ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკაში და რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება ფუნდამენტური და პროფილური ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიან ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთშერწყმას;

- სტუდენტებისათვის ფარმაცევტული პროდუქციის, მისი დამზადებისა და წარმოების ტექნოლოგიების, ხარისხის კონტროლის, შენახვისა და გაცემის წესების შესწავლა;
- სტუდენტებს შეასწავლოს სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტების დანიშნულება, მათი მოქმედების მექანიზმი, სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედება, გვერდითი მოვლენები და მოამზადოს ისინი ინოვაციურ, უწყვეტ თერაპიულ ჯაჭვში: „ექიმი–ფარმაცევტი–პაციენტი“ აქტიური მონაწილეობისათვის;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს უპირატესი დამოკიდებულება ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზირებისა და სერტიფიცირებისადმი, როგორც უმთავრესი კრიტერიუმისადმი მოსახლეობის მაღალხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით უზრუნველყოფის საკითხში;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს აუცილებელი უნარ–ჩვევები სააფთიაქო ქსელში, ფარმაცევტულ საწარმოში, ანალიზურ ლაბორატორიასა თუ საჯარო სამსახურში სამუშაო ვაკანსიის მოსაპოვებლად და შემდგომი კარიერული ზრდისათვის;
- შეასწავლოს სტუდენტს ფარმაცევტული პროდუქციის რეგისტრირების, საქონელბრუნვისდა რეკლამირების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები.

17.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა – 240 /245 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები - 187/192 კრედიტი

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **22/27 კრედიტი;**
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **12 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს საბაზისო სასწავლო კურსები - **37 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – **116 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები-53 კრედიტი.

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10 კრედიტი;**
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **3 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - **20 კრედიტი;**
- **თავისუფალი კრედიტები-20 კრედიტი.**

18. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია:

სწავლების მეშვიდე – მერვე სემესტრებში პრაქტიკა გაიაროს სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგიებში, შესაბამისად 5 და 10 კრედიტის მოცულობით.

19. სწავლების მეთოდოლოგია

სასწავლო დისციპლინების ოპტიმალური ათვისებისათვის სწავლების ტრადიციულმეთოდებთან ერთად ფართოდ გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ზრდიან სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში და ამცირებენ დისციპლინარულ პრობლემებს.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეცადინეობების უწყვეტ ციკლს.
თეორიული სწავლების დანიშნულებაა ლექციებითა და სემინარული მეცადინეობებით შესასწავლი საგნის ძირითადიდებულებებისა და კონცეფციების სწავლება, ხოლოპრაქტიკული და ლაბორატორიულიმეცადინეობების დანიშნულებაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანებითგაღრმავება და განმტკიცება, რაც თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველს წარმოადგენს.
კონკრეტულისასწავლოდისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება სასწავლო კურსისსწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისიდისციპლინისსილაბუსში აისახება.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**- ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, პრეზენტაცია;
- **სემინარის და სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია Power Point-ით** - რეალურ თეორიულ მასალებზე დაფუძნებული სემინარები;
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები** - სტუდენტების კამათში გამოწვევა, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი;**
- **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისებისა და რეფერატების მომზადებას;
- **თანამშრომლობითი მეთოდი**- სტუდენტთა შეძენილი ცოდნის და გადმოცემის უნარის ურთიერთშეფასება, სტუდენტთა თვითშეფასების გამოყენება საბოლოო შეფასების ფორმირებისას;
- **ბრეინსთორმინგი** - გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდებასტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;
- **დემონსტრირების მეთოდი;**
- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიების მეთოდი;**

პრაქტიკულმეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწობს ხელს სწავლების შემდეგი მეთოდები:

ჯგუფში დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი - პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტების კამათში გამოწვევა,საკუთარი აზრის დაფიქსირება;

- **გუნდური მუშაობა,** რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ წარმოდგენას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;
- სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია;
- სწავლებისას უნივერსიტეტი უპირატესობას ანიჭებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

20. სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის:** • ფუნდამენტური და პროფილური ქიმიური დისციპლინები (ფარმაკოგნოზია, არაორგანული და ორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ტოქსიკოლოგიური და ფარმაცევტული ქიმია) და მათ ცოდნაზე დაფუძნებული ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხისა და ვარგისობის განმსაზღვრელი მეთოდები; • სამკურნალო მცენარეების თერაპიული დანიშნულება, მცენარეული ნედლეულის დამზადების ტექნოლოგია (მცენარეების შეგროვების პერიოდი, შრობისა და შენახვის პირობები) და მათი ხარისხის განმსაზღვრელი ფარმაკოგნოსტიკური მეთოდები; • წამლის სხვადასხვა ფორმების დამზადების სამრეწველო და სააფთიაქო ტექნოლოგია, ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული აპარტურის ექსპლოატაციის წესები, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ბიოტექნოლოგიური მეთოდები და მათი სპეციფიკა; • ფარმაცევტული პროდუქციის ასორტიმენტი, მათი საქართველოს ბაზარზე დაშვების, ხარისხის კონტროლის, რეკლამირებისა და საქონელბრუნვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, სამკურნალო საშუალებების აფთიაქიდან გაცემის წესები.
უნარი	**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:** • ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხისა და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა სასაქონლო ექსპერტიზის, ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზის მეშვეობით; • ტექნოლოგიური პროცესების მართვა, მატერიალური ბალანსის განსაზღვრა და ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა და პროდუქციის სერიული წარმოება; • რეცეპტის შესაბამისად სამკურნალო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება და ხარისხის განსაზღვრა; •პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის ინფორმატიულობის, კლინიკური •კვლევებით დადასტურებული და რეკლამირებული ჩვენებების ურთიერთ შესაბამისობის დადგენა; • ფარმაცევტული პროდუქციის ფასწარმოქმნის მექანიზმების, მედიკამენტების ფასებისა და მოხმარების ზრდის მიზეზების, გამოყენების სოციალური და ეკონომიურ ასპექტების ანალიზი; • პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის შეძენაზე, კომუნიკაციური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე დამოუკიდებლად მუშაობა.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:** • ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის, ხარისხის დამოუკიდებლად განსაზღვრა ანალიზის ფიზიკო-ქიმიური და ფარმაკოგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით და შედეგების მართებულობაზე პასუხიმგებლობის აღება; • ფარმაცევტული პროდუქციის ბაზარზე დაშვების პროცედურაში კონკრეტული საქმიანობის განხორციელება დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით; • ექსტრემალურ პირობებში პირველადი ექიმამდელი დახმარების აღმოჩენა და საკუთარ ქმედებებზე პასუხიმგებლობის აღება; • კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და პასუხისმგებლობის აღება; • პროფესიულ გარემოში საქმიანობა ღირებულებებისა და ეთიკური ნორმების დაცვით.

21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენ-ტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;**

- **თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია;**
- **სასწავლო კურსი ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

  შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, საშინაო დამოუკიდებელი დავ ალების, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) **– 30–33 ქულა;**

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 7–10 ქულა;

2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

22. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების **4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

23. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **ფარმაციის ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი** და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

24. კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება **კუმულატიური GPA,** რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

25.დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლის პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებული ზოგადი კომპეტენციებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, **ფარმაციის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს:**

- სააფთიაქო ქსელის ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში (საცალო, საბითუმო, კლინიკის, ფარმაცევტული ბაზა);
- ფარმაცევტულ საწარმოში;
- წამლის ხარისხის კონტროლისა და სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ანალიზურ ლაბორატორიებში;
- ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების საჯარო სამსახურში;
- სპეციალიზებულ სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში;
- ადგილობრივ და უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებში;
- შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი.

26. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფარმაციის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

სასწავლო კურსი	კომპეტენციათა რუქა		
	ცოდნადაგაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა - 1 / ინგლისური ენა - დამწყებთათვის -1	X	X	
ინგლისური ენა - 2 / ინგლისური ენა - დამწყებთათვის -2	X	X	
ინგლისური ენა - 3 დამწყებთათვის	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	
კომპიუტერული უნარები	X	X	
წერის უნარები	X	X	
სამედიცინო ბიოლოგია	X	X	
ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია	X	X	
სამედიცინო ბიოეთიკა	X		X
პრევენციული მედიცინა	X	X	X
ადამიანის ნორმალური ანატომია (საყრდენ-მამოძრავებელი და შინაგანი ორგანოების ანატომია)	X	X	
ადამიანის ნორმალური ანატომია (გულ-სისხლძარღვთა სისტემა და ნეიროანატომია)	X	X	
ზოგადი ფიზიოლოგია	X	X	
კერძო ფიზიოლოგია	X	X	
მიკრობიოლოგიის საფუძვლები	X	X	
პათოლოგია	X	X	
სამედიცინო ბიოქიმია (ზოგადი ნაწილი)	X	X	
სამედიცინო ბიოქიმია (კერძო ნაწილი)	X	X	
ზოგადი ფარმაკოლოგია ფარმაცევტებისათ-ვის	X	X	
კერძო ფარმაკოლოგია	X	X	
პირველადი ექიმამდელი დახმარება	X	X	X
ზოგადი ბოტანიკა (მცენარეთა მორფოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია)	X	X	

ზოგადი და არაორგანული ქიმია	X	X	
სოციალური ფარმაცია	X	X	
კერძო ბოტანიკა (მცენარეთა სისტემატიკა, გეოგრაფი ეკოლოგია)	X	X	
ორგანული ქიმია (ნახშირწყალბადები, სპირტები, ორგანული მჟავები, ეთერები)	X	X	
ორგანული ქიმია (ნახშირწყლები, ალკალოიდები, ლიპიდები, ცილები)	X	X	
პროფესიული ინგლისური მედიკოსებისთვის-1	X	X	
პროფესიული ინგლისური მედიკოსებისთვის-2	X	X	
ანალიზური ქიმია (თვისებითი ანალიზი)	X	X	X
ანალიზური ქიმია (რაოდენობითი ანალიზი)	X	X	X
ზოგადი ფარმაკოგნოზია და ფიტოთერაპია	X	X	X
კერძო ფარმაკოგნოზია და ფიტოთერაპია	X	X	X
ფარმაცევტული ქიმია (არაორგანული პრეპარატები)	X	X	X
ფარმაცევტული ქიმია (ორგანული პრეპარატები)	X	X	X
ტოქსიკოლოგიური ქიმია	X	X	X
ფარმაცევტულიტექნოლოგიები - ბიოტექნოლოგია	X	X	X
ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	X	X	
ფარმაცევტულიტექნოლოგიები- წამლის სააფთიაქო ტექნოლოგია	X	X	X
ფარმაცევტულიტექნოლოგიები -წამლის საქარხნო ტექნოლოგია	X	X	X
კოსმეტოლოგიის საფუძვლები	X	X	X
ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	X	X	X
ფარმაცევტული პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის კონტროლი	X	X	X
ფარმაკოთერაპია	X	X	
ფარმაცევტული ტექნოლოგიები წამლის სააფთიაქო ტექნოლოგია (სააფთიაქო პრაქტიკა)	X	X	X
ფარმაცევტულიტექნოლოგიები წამლის საქარხნო ტექნოლოგია (პრაქტიკა)	X	X	X
ფარმაციის ისტორია	X		

ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი ნაერთების ქიმია	X	X	
ჰომეოპათია ჰომოტოქსიკოლოგიით	X	X	
ფარმაცევტული მარკეტინგი	X	X	
ფარმაცევტული მენეჯმენტი	X	X	
ფარმაცევტული ქიმია (ფიტოპრეპარატები)	X	X	
კლინიკური ფარმაცია	X	X	
ბიოფარმაცია	X	X	
წამლის კლინიკური კვლევა	X	X	
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
პოლონური ენა-1	X	X	
პოლონური ენა-2	X	X	
ესპანური ენა -1	X	X	
ესპანური ენა -2	X	X	
ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	X	X	
მსოფლიო კინოს ისტორია	X		
მეტყველება და საჯარო გამოსვლები	X	X	
მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი			
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
სოციოლოგია	X	X	
მედიცინის ისტორია	X		
ჰიგიენა	X	X	